

# კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა



13 ოქტომბერი, 2023

## სარჩევი

შესავალი.....	3
ტერმინთა განმარტება.....	3
მონაცემთა დამუშავებელი.....	3
თანამშრომლობის ფარგლებში მოთხოვნილი პერსონალური მონაცემების ტიპები.....	4
პერსონალური მონაცემების შეგროვების წესი.....	4
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ოფისის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო ფიქსაციის მონაცემები.....	5
პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი.....	6
მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.....	6
პერსონალური მონაცემების გაზიარების წესი.....	6
პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები.....	6
მონაცემთა სუბიექტის უფლებები.....	7
პერსონალური მონაცემების გამოყენების/დამუშავების/გაზიარების ტიპოლოგია- მიზნობრიობის შესაძლო კავშირები.....	8

## შესავალი

მოცემული დოკუმენტი განსაზღვრავს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ მიღებული პერსონალური მონაცემების რაობას, მიღების, დამუშავების, შენახვის და მესამე პირებზე გადაცემის პრინციპებს და წესებს, და ასევე ამ მონაცემთა გამცემი სუბიექტის კანონიერ უფლებებს გაცემულ მონაცემებთან მიმართებაში. დოკუმენტი სრულ თანხვედრაშია საქართველოს კანონთან „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ და განსაზღვრულია იმ პირთათვის, ვისთანაც თანამშრომლობს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი და ვისთანაც თანამშრომლობის ფარგლებში ხდება ზემოთაღნიშნული მონაცემების გამოთხოვა.

## ტერმინთა განმარტება

**პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.

**მონაცემთა დამუშავება** – მონაცემთა შეგროვება, ჩაწერა, ასლის გადაღება, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო ჩაწერა, ვიდეო ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

**მონაცემთა დამუშავებელი** - საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას (მოცემული დოკუმენტის მიზნებისთვის, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი);

**მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება (მოცემული დოკუმენტის მიზნებისთვის ნებისმიერი პირი ვისთანაც თანამშრომლობს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი);

**მესამე პირი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება (მოცემული დოკუმენტის მიზნებისთვის - დონორი, პარტნიორი);

## მონაცემთა დამუშავებელი

ა(ა)იპ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204888130

მისამართი: ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ. N5, 0186, საქართველო

ელ-ფოსტა: [ctc@ctc.org.ge](mailto:ctc@ctc.org.ge)

საკონტაქტო ტელ.: +995 32 220 67 74

ვებ გვერდი: <https://www.ctc.org.ge/>

## თანამშრომლობის ფარგლებში მოთხოვნილი პერსონალური მონაცემების ტიპები

### სახელმწიკრულებო

- სახელი, გვარი
- პირადი ნომერი,
- მისამართი (ფაქტობრივი ან იურიდიული)
- საკონტაქტო ნომერი
- ელ-ფოსტის მისამართი
- პირადობის მოწმობის ასლი
- პასპორტის ასლი (პირადობის მოწმობის არ-ქონის შემთხვევაში)
- მანქანის სახელმწიფო ნომერი
- მანქანის მართვის მოწმობა
- რეზიუმე (CV)

### ტრანსაქციასთან დაკავშირებული

- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები

### ფინანსური

- საკრედიტო ისტორიის აღმნიშვნელი დოკუმენტაცია
- ბიუჯეტის წინაშე დავალიანების აღმნიშვნელი დოკუმენტაცია
- სასესხო ვალდებულებების აღმნიშვნელი დოკუმენტაცია

### ხილვადობასთან დაკავშირებული

- ფოტო ფიქსაცია
- ვიდეო ჩანაწერი
- აუდიო ჩანაწერი

### სხვა

- სხვა (თანამშრომლობისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია)

## პერსონალური მონაცემების შეგროვების წესი

პირადი მონაცემების შეგროვება ხდება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის და მონაცემთა სუბიექტის თანამშრომლობის ფარგლებში, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი ნებართვით, ნებაყოფლობითი გადაცემის წესით.

მონაცემთა სუბიექტი აცნობიერებს, რომ თანამშრომლობისთვის აუცილებელი მონაცემების მოწოდებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში მასსა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს შორის აღნიშნული თანამშრომლობა შესაძლოა ვერ შედგეს.

მოცემული პოლიტიკის მიხედვით, ხდება მხოლოდ ისეთი პერსონალური მონაცემების შეგროვება, რომელიც აუცილებელია კონკრეტული მიზნებისთვის და მონაცემთა სუბიექტთან ხდება მათი თანამშრომლების პერსონალური მონაცემების გაზიარების მოთხოვნა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ზემოხსენებული კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

ფოტო, ვიდეო და აუდიო მონაცემების შეგროვება ხდება სუბიექტისაგან წერილობითი თანხმობის ან/და ასევე ხელშეკრულების საფუძველზე, მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის მითითებით.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის გარკვეული ღონისძიებების ჩატარების დროს მონაცემთა შეგროვების შესახებ ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება შესაბამის ფორმებში რომლებიც გაზიარებული იქნება წინმსწრებით მონაცემთა სუბიექტისთვის და მას ექნება საშუალება გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას და გამოიყენოს თავისი ლეგიტიმური უფლება წერილობითი სახით შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობის დროს მონაცემების შეგროვებაზე ნების დართვის ან უარყოფის.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იტოვებს უფლებას შეაგროვოს და დაამუშაოს პერსონალური მონაცემები პირის ნებართვის გარეშე მხოლოდ თუ ისინი მოპოვებულია საჯარო, გამჭვირვალე და კანონიერი წყაროდან.

## კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ოფისის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო ფიქსაციის მონაცემები

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ცენტრალური ოფისის შესასვლელთან განთავსებულია ვიდეო თვალი, რომელიც უყურებს შესასვლელ ქუჩას, შესაბამისი გამაფრთხილებელი საინფორმაციო დაფის განთავსებით.

აღნიშნული სრულ თანხვედრაშია საქართველოს „პერსონალური მონაცემთა დაცვის“ კანონის მუხლი N11-თან და განთავსებულია დანაშაულის თავიდან აცილების, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისათვის.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ცენტრალური ოფისის ეზოს პერიმეტრზე ასევე განთავსებულია ვიდეო თვალი, შესაბამისი გამაფრთხილებელი საინფორმაციო დაფის განთავსებით. ამასთან ვიდეო თვალი ასევე განთავსებულია ცენტრალური ოფისის პირველ, მეორე და მესამე სართულის ფოიეში შესაბამისი გამაფრთხილებელი დაფების განთავსებით.

აღნიშნული სრულ თანხვედრაშია საქართველოს „პერსონალური მონაცემთა დაცვის“ კანონის მუხლი N12-თან და აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის, საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის მიზნებისთვის.

ოფისის სხვა სივრცეებში ვიდეო ჩაწერა არ მიმდინარეობს.

უსაფრთხოების მიზნით ნაწარმოები ვიდეო ჩანაწერი ინახება უცხო პირთაგან დაცულ სპეციალურ საცავში მაქსიმუმ 2 კვირის მანძილზე რის შემდეგაც ხდება აღნიშნული ჩანაწერის განადგურება.

თუ, კანონის სრული დაცვით შესაბამისი სამსახურებისგან მოხდა აღნიშნული ჩანაწერის გამოთხოვა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი ვალდებულია ითანამშრომლოს აღნიშნულ უწყებებთან და გადასცეს შესაბამისი პერიოდის ჩანაწერები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

პერსონალური მონაცემების დამუშავება წარმოებს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ავტომატური და ნახევრად ავტომატური გზით, ციფრული და არა ციფრული საშუალებების გამოყენებით.

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის პოლიტიკის და შინაგანაწესის თანახმად მონაცემთა დამუშავება წარმოებს დაცული ციფრული საშუალებების და სისტემების მეშვეობით.

რიგ შემთხვევებში შესაძლოა ხდებოდეს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაციის ანონიმური გამოყენება იმგვარად (მაგ. კვლევის, სასწავლო დოკუმენტის შექმნის მიზნებისთვის), რომ ეს მონაცემები არ ასოცირდებოდეს კონკრეტულ მხარესთან. ასეთ შემთხვევებში ამ ინფორმაციის გამოყენება კანონით დასაშვებია მონაცემთა სუბიექტთან შეთანხმების გარეშე.

## მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის მკაცრი წესებით და უზრუნველყოფს აღნიშნული მონაცემების კონფიდენციალურობას და უსაფრთხოებას.

პერსონალური მონაცემების შენახვა წარმოებს დაცულ, გარე პირებისთვის შეუღებულ წვდომის მქონე ადგილას, მონაცემების ფიზიკური და ციფრული დაცვის უზრუნველყოფით.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი არ გამოიყენებს მიღებულ მონაცემებს უკანონოდ ან კომერციული მიზნებისთვის.

ორგანიზაციის მუდმივ თანამშრომლებს პერსონალური მონაცემების დაცვის დეტალური წესის შესახებ დეტალურად გაცნობა შეუძლიათ ორგანიზაციის შინაგანაწესში.

## პერსონალური მონაცემების გაზიარების წესი

დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის ნებართვის გარეშე აღნიშნული მონაცემების პირადი მიზნით მესამე პირზე გადაცემა/გაზიარება.

ორგანიზაციის მხრიდან მონაცემთა გადაცემა მესამე პირზე ხდება მხოლოდ სუბიექტთან არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნებიდან გამომდინარე.

## პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები განისაზღვრება და იმ დონორის/პარტნიორის (მესამე პირი) მოთხოვნებით, რომლის პროგრამის/პროექტის ფარგლებში და მიზნებიდან გამომდინარე მოხდა ზემოთაღნიშნული მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

სპეციფიური კანონიერი, მარეგულირებელი ან სახელშეკრულებო მოთხოვნების შემთხვევაში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ გაკეთებული ჩანაწერების და მომსახურების გაწევის პროცესში შექმნილი სხვა დოკუმენტის შენახვის პერიოდი საზოგადოდ არ აღემატება 10 წელს.

პერსონალური ინფორმაციის შენახვის ლეგიტიმური მიზნის ამოწურვისთანავე კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი დაბლოკავს, წაშლის ან განადგურებს ან იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შეინახავს ასეთ პერსონალურ მონაცემებს.

## მონაცემთა სუბიექტის უფლებები

კონკრეტულ შემთხვევებში, მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება მიიღოს საკუთარი თავის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- რა მონაცემებს ამუშავებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი მის შესახებ;
- რა არის მისი მონაცემების დამუშავების მიზანი;
- რა არის მისი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- როგორ მუშავდებოდა მისი მონაცემები;
- ვისთვის მოხდა მისი მონაცემების გაზიარება;
- მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

მას ასევე აქვს უფლება მოითხოვოს, იმ მონაცემების ასლი, რომელსაც ამუშავებს მის შესახებ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი. თუ აღნიშნული მონაცემების დოკუმენტურ ერთობლიობაში ასევე ფიგურირებს სხვა პირების მონაცემები, და მათი განცალკევება ვერ ხერხდება, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი იტოვებს კანონიერ უფლებას მოახდინოს აღნიშნული მონაცემების ანონიმიზაცია და ისე მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს დოკუმენტები მხოლოდ მისი მონაცემების გამოჩენით, რათა დაცული იყოს ყველა მხარის უფლებები.

მონაცემთა სუბიექტს აქვს კანონიერი უფლება, მოითხოვოს საკუთარი მონაცემის ცვლილება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ ის არის არასრული, არაზუსტი, მოძველებული ან უკანონო გზით მოპოვებული. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა მოქმედებს რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლოა არ მოახდინოს მონაცემთა სუბიექტის პირადი მონაცემების დაუყოვნებლივ წაშლა თუ აღნიშნულის მოთხოვნა ხდება შესაბამისი სახელმწიფო უწყების მხრიდან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, საგადასახადო სუბიექტების საეჭვო საქმიანობის ფარგლებში და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობების გათვალისწინებით.

მონაცემთა სუბიექტის აღნიშნულ თავში ჩამოთვლილი ნებისმიერი უფლების გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს შემდეგ მისამართზე:

ელ-ფოსტა: [ctc@ctc.org.ge](mailto:ctc@ctc.org.ge)

საკონტაქტო ტელ.: +995 32 220 67 74

## პერსონალური მონაცემების გამოყენების/დამუშავების/გაზიარების ტიპოლოგია-მიზნობრიობის შესაძლო კავშირები

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი მოქმედებს რა საქართველოს კანონით „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“, აცნობიერებს, რომ მონაცემთა სუბიექტს გააჩნია სრული ლეგიტიმური უფლება განემარტოს მოთხოვნილი პერსონალური მონაცემების გამოყენების მიზნობრიობა თითოეული მოთხოვნილი მონაცემთა ტიპისთვის. აღნიშნულის გამარტივების მიზნით გთხოვთ გაეცნოთ მონაცემთა ტიპების გამოყენების მიზნობრიობის ცხრილს:

პერსონალური მონაცემის ტიპი	გამოყენების მიზანი	სამართლებრივი საფუძველი
სახელი, გვარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• საკონკურსო აპლიკაციის შევსების,</li> <li>• შემოსავლების სამსახურთან დეკლარირების;</li> <li>• საპენსიო სააგენტოსთან დეკლარირების;</li> <li>• ღონისძიების მონაწილეთა სიების შევსების;</li> <li>• ფინანსური რეპორტის შევსების მიზნით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
პირადი ნომერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• შემოსავლების სამსახურთან დეკლარირების;</li> <li>• საპენსიო სააგენტოსთან დეკლარირების მიზნით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
მისამართი (ფაქტობრივი ან იურიდიული)	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• საკონკურსო აპლიკაციის შევსების;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემოსავლების სამსახურთან დეკლარირების;</li> <li>• ღონისძიების მონაწილეთა სიების შევსების მიზნით.</li> </ul>	
საკონტაქტო ნომერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• ღონისძიების მონაწილეთა სიების შევსების;</li> <li>• საქმიანი ურთიერთობის წარმოების მიზნით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
ელ-ფოსტის მისამართი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• საკონკურსო აპლიკაციის შევსების,</li> <li>• ღონისძიების მონაწილეთა სიების შევსების;</li> <li>• საქმიანი ურთიერთობის წარმოების მიზნით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
პირადობის მოწმობის ასლი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
პასპორტის ასლი (პირადობის მოწმობის არ-ქონის შემთხვევაში)	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
მანქანის სახელმწიფო ნომერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• სატრანსპორტო ხარჯის აღიარებისთვის სავალდებულო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>

	დოკუმენტაციის შევსების მიზნით.	
მანქანის მართვის მოწმობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• ინვოისის გამოწერის;</li> <li>• სატრანსპორტო ხარჯის აღიარებისთვის სავალდებულო დოკუმენტაციის შევსების მიზნით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
რეზიუმე (CV)	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მიზნით;</li> <li>• ვაკანსიისთვის;</li> <li>• საკონკურსოდ;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი ან ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მიზნით;</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების;</li> <li>• კუთვნილი გასამრჯელოს/მომსახურების საფასურის/ხელფასის გადახდის მიზნით;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
საკრედიტო ისტორიის აღმნიშვნელი დოკუმენტაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგრანტო თანხების გადარიცხვის დროს რისკების მინიმუმაციის მიზნით;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
ბიუჯეტის წინაშე დავალიანების აღმნიშვნელი დოკუმენტაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგრანტო თანხების გადარიცხვის დროს რისკების მინიმუმაციის მიზნით;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
სასესხო ვალდებულებების აღმნიშვნელი დოკუმენტაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგრანტო თანხების გადარიცხვის დროს რისკების მინიმუმაციის მიზნით;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელშეკრულებო ვალდებულება;</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
ფოტო ფიქსაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში მიმდინარე პროგრამების და პროექტების ხილვადობის გაზრდის მიზნით (ღონისძიება, ინტერვიუ, წარმატების ისტორია);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელმძეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
ვიდეო ჩანაწერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში მიმდინარე პროგრამების და პროექტების ხილვადობის გაზრდის მიზნით (ღონისძიება, ინტერვიუ, წარმატების ისტორია);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელმძეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>
აუდიო ჩანაწერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში მიმდინარე პროგრამების და პროექტების ხილვადობის გაზრდის მიზნით (ღონისძიება, ინტერვიუ, წარმატების ისტორია);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;</li> <li>• სახელმძეკრულებო ვალდებულება;</li> <li>• CTC-ს კანონისმიერი ინტერესები და ვალდებულებები.</li> </ul>

## სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები

- კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების შესახებ პოლიტიკა.
- კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ყველა თანამშრომელი ვალდებულია მის ხელთ სამსახურეობრივად არსებული ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემები არ გაუზიაროს მესამე პირებს. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც არსებობს თავად ამ ფიზიკური პირის თანხმობა.
- კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ღონისძიებებზე გამოიყენოს მხოლოდ მონაცემთა შეგროვების სტანდარტული ფორმები და დამსწრე აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.
- ვიდეო თუ აუდიო ჩანაწერი კეთდება მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების არსებობისას ყველა დამსწრე მონაწილის თანხმობით. ჩანაწერის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მიზნით. არასაჯარო კომუნიკაციისათვის გაკეთებული ჩანაწერები უნდა განადგურდეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში, მას შემდეგ რაც მოხდება მიზნობრივად გამოყენება.
- კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი აქვეყნებს მხოლოდ იმ ვიდეო თუ აუდიო მასალას რომლის გავრცელებაზეც აქვს მოპოვებული უფლება მონაწილეების მხრიდან.
- ყველა ღია კონკურსის განაცხადში თუ ხელშეკრულებაში უნდა აისახოს შესაბამისი ჩანაწერი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და მხარეთა თანხმობა მონაცემთა მიზნობრივ გამოყენებაზე.
- კვლევითი პროექტების თუ დავალების პირობაში სავალდებულო წესით უნდა გათვალისწინებულ იქნას მკვლევრის მიერ მოპოვებული პერსონალური მონაცემთა დაცვის საკითხები და ეთიკური კვლევის პრინციპები.

## დისკლეიმერი

თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები გავუზიარო კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრს, რომელიც, თავის მხრივ, მონაცემების დამუშავების პროცესში იხელმძღვანელებს საქართველოს კანონმდებლობის და კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკით.

ასევე, თანახმა ვარ, გამოვიჩნდე ფოტოზე, რომელიც გადაღებული იქნება ტრენინგის/სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობისას და შეიძლება გამოყენებული იქნას და გამოქვეყნდეს ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, სოციალურ მედიაში, პრეს-რელიზებში ან სხვა პუბლიკაციებში.